

სააქციო საზოგადოება „ნიკორა“-ს (ს/კ 200050675)
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი #03/07/2023-1

აქციონერთა კრება გაიმართა 2023 წლის 03 ივლისს წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2

კრების დაწყების დრო: 15:00 საათი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

1. სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე, დივიდენდის განაწილება.
2. სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციათა მფლობელი აქციონერების მიერ, მათი პირველი რიგის მემკვიდრე(ებ)ზე სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი აქციების სრულად ან ნაწილობრივ ჩუქების საკითხის განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე კაპიტალის (აქციათა) 92.41190%-ს ხმის უფლების მქონე 5 516 169 ცალი აქციის მესაკუთრე აქციონერთა გადაწყვეტილებით, კერძოდ:

1. 2023 წლის აქციონერთა პირველ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გაგრძელდეს ჩვეულებრივი კლასის აქციონერებზე დივიდენდის განაწილება.
2. თანხმობა მიეცეს სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციათა მფლობელი აქციონერებს, შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ჰქონდეთ უფლება კუთვნილი აქციები გააჩუქონ თავიანთი პირველი რიგის მემკვიდრეებზე, თავად განსაზღვრონ გარიგების პირობები, მათ შორის გასაჩუქებელი წილის ოდენობა ყოველ ჯერზე.